№ 281 | მთავრობის მოამბე | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. პარასკევი, დეკემბრის 10 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისიად განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.



# გურიის სავაჭრო ბანკის

## გამგეობა ამით აცხადებს ბ. ბ. აქციონერების საყურადღებოთ,

რომ თანახმად საბჭოს დადგენილებისა,

**ამა წლის 5 ნოემბრიდან მეორე ნახევარი 50 პროცენტი—ხუთასი მანეთი თითო აქციაზე—შემოტანილი უნდა იქმნეს ამა წლის 10—20 დეკემბერს:**

ლანჩხუთში—გურიის სავაჭრო ბანკში, თფილისში—ცენტრობანკში, ქუთაისში—საურთიერთო ნდობის ბანკში, ბათუმში—ცენტრობანკის განყოფილებაში, ოზურგეთში—ელისე ივანესძე ანთელიძესთან, სამტრედიაში—სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილთან, სუფსაში—კონსტანტინე ჭანტურიასთან, ჯუმათში—აკალო ალექსისძე მურვანიძესთან.

**შენიშვნა:** თუ ვადაზე არ იქმნა შეტანილი სრულად აქციების მეორე ნახევარი, თანახმად წესდების § 9, ხელის მომწერს გადახდება ბანკის სასარგებლოდ თითეული ვადა გადაცილებულ დღისათვის 5% სარგებელი და 5% ჯარიმა წლიური ამგარიშის მიხედვით. შემდეგ ამისა ნომრები მოწმობათა, რომლის შესატანი ფულიც არ იქმნა გადახდილი დანიშნულ ვადაზე, გამოცხადდება გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში და ორი კვირის შემდეგ დღიდან განცხადების დაბეჭდვისა, თუ შესატანი ფული მაინც არ იქმნა შეტანილი, ბანკის გამგეობა მოვალეა შეუდგეს ამ ნომრების მოწმობათა გაყიდვას. ვადა გადაცილებული მოწმობანი გამოცხადებულ უნდა იქმნას გაბათილებულად, და ახალ შემძენს უნდა მიეცეს ახალი მოწმობები იმავე ნომრებით და აღნიშვნით, რომ ეს მოწმობები ეძლევა იმათ ვადაზე გადაუხდელ მოწმობათა მაგიერ. გაყიდვისაგან ამონაგები თანხა ყველა ხარჯის, განსაზღვრული პროცენტის და ჯარიმის გამოკლებით გადაირიცხვის იმ შესატანის შესავსებათ, რომელიც თავის დროზე არ იყო შეტანილი მოწმობათა უპირულ პატრონთაგან და რაც ამის შემდეგ დარჩება ის უბრუნდება წინანდელ პატრონებს.

**ფულის გადახდისათვის საჭიროა წარმოდგენილ იქმნას დროებითი კვიტანციები.**

გურიის სავაჭრო ბანკის გამგეობა.

992 3—3

**სახელმწ. თეატრი.**

**ოპერა.**

პარასკევს, 10 დეკემბერს

## „აბესალომ და ეთერი“

შაბათს 11 დეკემბერს ოპერა ბალეტის სპექტაკლი მუშებისთვის „კოპელია“, კვირას 12 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი“, ორშაბათს, 13 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა „ჟიზელი“.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

# სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

## ამით აცხადებს, რომ 19 დეკემბერს ა. წ.

მოწვეულია სიღნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მე-V ყრილობა.

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1) მოხსენება საერობო გამგეობის მიმდინარე წლის მოქმედების შესახებ, 2) 1919 წ. ფინანსიური ანგარიშის განხილვა, 3) 1921 წ. შემოსავალ გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) სესხის აღების შესახებ, 5) საერობო მოსამსახურეთა ამა წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ, 6) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, 7) კაკაბეთის თემიდან ყანდაურის, ახაშნის თემიდან ჩუმლაყის და გურჯაანის თემიდან ვეჯინის გამოყოფის და ახალი თემების დაარსების შესახებ, 8) გამგეობის თავმჯდომარის არჩევა, 9) მიმდინარე საკითხები, ვთხოვთ ყველა ხმოსნებს უეჭველად დაესწრან აღნიშნულ ყრილობას, რომელიც მოხდება დილის 10 საათზედ, საერობო გამგეობის ბინაზედ.

**სამაზრო საერობო გამგეობა.**

1021 5—3

# ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობა

**იწვევს ამა წლის დეკემბრის 12-ს ხმოსანთა ყრილობას. განსახილველია.**

1) ახალი თავმჯდომარის არჩევა, 2) მიმდინარე საკითხები.

**სამაზრო ერობის გამგეობა.**

4152 1—1

**ოფიციალური განყოფილება.**

# დეკრეტი

**საზღვარ-გარეთიდან ზოგიერთი საქონლის შემოტანის აკრძალვისა.**

1. აკრძალულ იქნეს საზღვარ-გარეთიდან შემოტანა ამ დეკრეტთან დართულ სიაში მოხსენებული საგნებისა.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ნოემბრის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# სია

**საზღვარ-გარეთიდან შემოსატანად აკრძალული საქონლისა.**

| მოქმედ ტარიფის მუხლები, პუნქტები და ლიტერები. | | აკრძალულია შემოსატანად საზღვარ გარეთ ნაწარმოები ანუ საზღვარგარედ გატანილი ადგილობრივი შემდეგი საქონელი. |
|---|---|---|
| მუხ. | პუნქტ. | |
| 6 | 1 | ხილი ახალი ყოველგვარი, გარდა ადერბეიჯანიდან და სომხეთიდან შემოტანილისა. |
| 7 | — | ხმელი ხილი ყოველგვარი, გარდა ქიშმიშისა. |
| 9 | — | კაპარი, ზეთის ხილი შავი და მწვანე ყოველგვარი. |
| 11 | 2 | ფუსტული ყოველგვარი. |
| 13 | — | ქუფთეული და საწებელი ყოველგვარი ე. ი. მდოგვი მომზადებული, ინგლისური საწებელი, მწნილეული; მოტანილი ჰერმეტიული ჭურჭლით: კაპარი, ზეთის ხილი მწვანე და შავი, ბოსტნეულობა ძმარსა, ზეთსა ან სხვა რაშიმე ჩადებული. |
| 15 | 3 | დაფნის ფოთოლი. |
| 21 | 1—3 | თამბაქო და ყოველგვარი თამბაქოეული ნაწარმოები. |
| 24 | — | კანდიტრის ნახელარი და ყოველი ხილი და ხმილი შემზადებული. |
| „ | 1 | თათარა, ჟელე, ხილის ფხვნილი, შაფართხელი შაქრისა, ხილ-ლიქორი, ხილ-რომი, ხილ-კონიაკი და შოკოლადი. |
| „ | 2 | რაჰათ-ლუხუმი, ჰალვა და ჩურჩხელა, ხილეული ყოველგვარი წვენში, ხილის წვენი და ვაჟინი ყოველგვარი. |
| 27 | 1—2 | მაგარი სასმელი ყოველგვარი უშაქრო ან ტკბილი: არაყი, კონიაკი, რომი, ლიქორი და სხვა; გარდა პურისა და კონიაკის ხამი და გაწმენდილი სპირტისა არა ნაკლებ 90% და გარდა დენატურატისა. |
| 28 | 1—2 | ღვინო პირმშუშხავი. |
| 29 | ა/ბ | თაფლის ღვინო და ლუდი ყოველგვარი. |
| 32 | — | მადნეული წყალი ხელოვნური ყოველგვარი: ლიმონადი, სელტერი და სხვა. |
| 38 | — | ოსტრაკუ, ზღვის კიბო, ლოკოკინა, სიპინი და სხვა ამგვარი, ახალი დამარილებული, გამხმარი და ჩადებული ძმარში ან მარილწყალში გარდა საქართველოს საზღვრებში დაჭერილებისა. |
| 45 | — | ბალანი დაუმუშავებელი. |
| „ | 1 | თმა ადამიანისა. |
| „ | 2 | ყოველგვარი. |
| 46 | — | ბალანი დაუმუშავებელი. |
| „ | 1 | თმა ადამიანისა. |
| 48 | — | ბალიში, ლეიბი, ნაალი გატენილი ბალნით. |
| 49 | 1—2 | ულვაში ვეშაპისა დაუმუშავებელი, ულვაში ვეშაპისა ფირფიტებად და ჯოხებად დაჭრილი და რქები. |

| | | |
|---|---|---|
| 56 | 1-2-5 | ბეწვეული ყოველგვარი გარდა (მუხ. 3) ცხვრისა და თხისა გამოუქნელი და შეუღებავისა. |
| 61 | — | ხისაგან ნაკეთები, ცალკე მოხსენებულთა გარდა: |
| „ | 4 | დურგლისა და ხარატის ნახელარი და ჩუქურთმა შემკული რაიმე მეტალით და სხვა მასალით მოოქვილი ხით, თითბირით, ფოლადით, სადაფით, სპილოს და კუს ძვლით და სხვა ამგვარად. |
| „ | 5 | ხისაგან ნაკეთები, ტყავ ანუ ფარჩა გადაკრული. |
| 62 | 6 | დაჭრილი ყვავილები და ფოთლები ნედლი და გამხმარი, თუნდაც შეღებული; ყვავილები, ფოთლები და მცენარეების სხვა ნაწილები თაიგულად და გვირგვინად. |
| 67 | — | ქვები ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი, ბუნებრივი და ხელოვნური, ნამდვილის მსგავსი, ობოლი და ნათალი, მარგალიტი ნამდვილი და თაღლითი მარცვლებად და ძაფზე ასხმული: იაგუნდი, მარჯანი ნამდვილი და ხელოვნური, აგრეთვე დახვრეტილი და ძაფზე ასხმული, შულოებად და ჩუქურთმიანი. |
| 68 | — | გიშერი, სადაფი, კუს ძვალი, ქარვა, ზღვის ქაფი, ძვლები სპილოსი და მამონტისა. |
| 70 | 1 | ქანდაკება ყოველგვარი თუ არ არის სამეცნიერო მიზნით მოტანილი. |
| 76 | 3 | ფაიფურის და ბისკვიტის საგნები-ოთახების სამკაული, ე. ი. ვაზები. სტატუეტები და სხვა ამ გვარი საგნები, მხატვრობით შემკული, მოოქვრილი, და თითბირით ან სხვა მეტალით შემკული; ფაიფურის (აგრეთვე ქაშანურის) ხელოვნური ყვავილები და სხვა ამ გვარი მინაბაძი მცენარისა და მისი რიოში: ე. ი. გვირგვინი, თაიგული და სხვა ამ გვარი, თუნდაც სხვა მასალის ნაწილ ნარევი. |
| 77 | 5 | შუშისაგან ნაკეთები დეკორატიული მორთულობით ე. ი. ამოჭრილ ან ნახატ მოხაზულობით მხატვრობით, მინანქრით, მოოქვრილი, მოვერცხლილი, მოთითბრული შემკული თითბრით, ან სხვა მეტალშემდნარით. |
| „ | 7 | ა) შუშა ფურცლებად დეკორატიული და სხვა მორთულობით და მხატვრობით აგრეთვე ნაჭრებად-ტყვიისა, თითბრისა და სხვა ჩარჩოში. |
| 118 | — | სუნნელოვანი წყლები (უალკოჰოლოთ) ყოველგვარი. |
| 119 | 1 2 3 | საპირფარეშო სუნნელოვანი საგნები ყოველგვარი კბილის ელექსირის გარდა. |
| 148 | 2 | ოქროსაგან და თეთრი ოქროსაგან ნაკეთები ყოველგვარი: უთვლებოთ და აგრეთვე ყოველგვარი, როგორც ნამდვილი, აგრეთვე თაღლითი თვლებით, მარგალიტებით და სხვა ამგვარით. |
| „ | 4 | ვერცხლისაგან ნაკეთები ყოველგვარი, თუნდაც მოოქვრილი, უთვლებოთ და აგრეთვე ყოველგვარი, როგორც ნამდვილი, აგრეთვე თაღლითი თვლებით მარგალიტით და სხვა ამგვარით. |
| 148 | 6 | ქსოვილები და ლენტები (ბლონდები და ნაქსოვი) ოქროსი, ვერცხლისა და ოქრო ქსელისა; ოქრო და ვერცხლი ნაწევი და დართული. |
| — | 7 | ოქრო-მკედი ნაწევი და დართული, მუყაიში, ფიფანური და სხვა ამგვარი სამკაული. |
| 158 | 2 | დანეული საქონელი მოოქვრილი და მოვერცხლილი, აგრეთვე მოოქვრილ, მოვერცხლილ ან ოქროსა და ვერცხლის, კუს ძვლის, სადაფის, სპილოსი და მამონტის ძვლის ტარებიანი ანუ, როდესაც აღნიშნული მასალები, ვერცხლის და ოქროს გამოუკლებლად, შედიან მათ შედგენილობაში, როგორც სამკაული უბრალო ტარისა |
| 170 | შენიშვნა: | ლორნეტი და დურბინდი ოქროს, ვერცხლის ანუ თეთრი ოქროს ჩარჩოებიანი სადაფის, კუს ძვლის, სპილოს ძვლის და სხვა ამგვარი ძვირფასი მასალის ჩარჩოებიანი, მინანქრით შემკული. |
| 171 | 2 | საათი ჯიბისა ოქროსი, თუნდაც ძვირფასი ქვებით შემკული. |
| 195 | — | აბრეშუმის: ლენტები და ზონრები. |
| 106 | — | ფულიარები აბრეშუმისა დაბეჭდილი და დაბასმული ნაჭრებად და მანდილებად. |
| 197 | — | ცალ აბრეშუმის ლენტები. |
| 205 | 2 | არშია, ფოჩი, ფუსკული, გარნიტური და სხვა ხლართული ნაკეთები (აბრეშუმისა და ცალ აბრეშუმისა) და სხვა ყოველგვარი. |
| 207 | 1—2 | ბაბთა და ბაბთისეული ნაკეთები ყოველგვარი: აბრეშუმისა, აბრეშუმ ნარევი, ტილოსი, ბამბისა და სხვა ყოველგვარი. |
| 208 | 1 ა/ბ/ე | ნაქარგი, ქარგაზე ნაკეთები ქსოვილები, და ბლონდი: აბრეშუმისა, ტილოსი, ბამბისა და სხვა ყოველგვარი ქსოვილებისა. |
| 209 | 2 | თეთრეული და საცვალი ყოველგვარი შემკული ბამბითა, ქარგითა და სხვა ამგვარით. |
| „ | 6 | ტანისამოსი და სხვა ყოველგვარი ტანთსაცმელი (კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისა) ხავერდის, ცალ ხავერდის, აბრეშუმის და ცალ აბრეშუმის ქსოვილებისაგან, მორთულობით; აგრეთვე ტანთსაცმელი ყოველგვარი, რომელშიაც მორთულობა სჭარბობს დანარჩენ შედგენილობას. |
| „ | 7 | ქალების ქუდი და სხვა ყოველგვარი თავსახურავი მორთული ყვავილებით, ფრთებით და სხვა ამგვარით, გარდა ლენტებით მორთულისა |
| 211 | — | ქოლგა და ჯოხ-ქოლგა, ყოველგვარ აბრეშუმ და ცალ აბრეშუმ გადაკრული მორთულობით, არშიებით, ნაქარგით და სხვა სამკაულისა |
| 213 | 1-2-3 | ფრთები და ბუმბულები, სასამკაულო და ხელოვნური ყვავილები ყოველგვარი. |
| 214 | 1—2 | მძივი და იოტი შუშისა, მეტალისა და სხვა უბრალო მასალისა და მათგან ნაკეთები ყოველგვარი. |
| 215 | — | გალანტერიული და საპირფარეშო საგნები, ცალკე არ მოხსენებული, მთლიანი და ნაწილ-ნაწილი. |
| — | 1 | ძვირფასეული რომელთა შედგენილობაში შედის აბრეშუმი, ალიუმინი, სადაფი, მარჯანი, კუს ძვალი, მინანქარი, ქარვა და ხსვა ამგვარი ძვირფასი მასალა, მოოქვრილი და მოვერცხლილი მეტალი: ყოველგვარი ცალკე არ მოხსენებული ნივთი სადაფისა, კუს ძვლისა, სპილოს ძვლისა და ქარვისაგან გაკეთებული. |

**შენიშვნა: 1.** ის საქონელი, რომელიც არ არის მოხსენებული ამ სიაში და აღნიშნულია იმავე მუხლებსა, პუნქტებსა და ლიტერებში მომქმედ საბაჟო ტარიფისა განთავისუფლებულია აკრძალვისაგან.

**შენიშვნა: 2.** თუ ამ სიაში აღნიშნული საგნები მოაქვს მგზავრს, ნახმარია და არ აქვს სავაჭრო საქონლის ხასიათი, მაშინ ის შამოიშვება საერთო წესით; აგრეთვე შამოიშვება მგზავრისთვის საჭირო სამგზავრო სურსათი.

1920 წ. ნოემბრის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

# დამფუძნებელი კრება

**8 დეკემბრის სხდომა**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**კონსტიტუციის განხილვა.**

**ს. დადიანი** (ს.-ფ.) აგრძელებს თავის სიტყვას წინა სხდომაზე დაწყებულს და ამბობს: ჩვენი ფრაქციისათვის მიუღებელია პრეზიდენტი და ის უფლებები, რომელსაც მას ანიჭებენ. პრეზიდენტი თავისი უფლებებით იგივე მეფეა. ჩვენთვის მიუღებელია აგრეთვე ხელისუფლების აბსოლიუტურად დანაწილება. მიუღებელია, როგორც თეორიულად ისე პრინციპიალურადაც. და მართლაც, ყოვლად შეუძლებელია აღმასრულებელი ძალის, საკანონმდებლო ორგანოს და სასამართლოს ისე გათიშვა ერთმანეთისაგან, რომ მათ არაფერი ქონდეთ საერთო.

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების აწყობას, ჩვენ კონსტიტუციის პროექტში წამოყენებულ დებულებებს ვიზიარებთ მხოლოდ ზოგიერთი შესწორებებით. პროექტში არის პასუხისმგებლობა, როგორც სოლიდარული, ისე პიროვნული. ჩვენ არ ვართ მომხრე მინისტრების პიროვნული პასუხისმგებლობისა, ჩვენ მხარს ვუჭერთ მინისტრების კოლეგიალურ პასუხისმგებლობას და ამის შესახებ თავის დროზე შესწორებაც იქნება ჩვენ მიერ წარმოდგენილი.

გარდა ამისა კონსტიტუციის პროექტში გაფიცვების შესახებ ნათქვამია, რომ ის ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ჩვენ ამ მუხლის ამ სახით მიღების წინააღმდეგი ვართ. თუ ეს ასე დარჩა, მაშინ შესაძლებელია ყოველგვარი გაფიცვა სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულად დაისახოს და გაფიცვა საერთოდ შეუძლებელი გახდეს. ჩვენ შესწორებას შემოვიტანთ აგრეთვე სახელმწიფოს მუშა მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ ორატორი ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და ამბობს, რომ ჩვენი კონსტიტუციის პროექტის ძალით ძალიან მცირე უფლებები ეძლევა ეროვნულ უმცირესობათ, ჩვენ შესწორებას შემოვიტანთ ამ თავის შესახებაც. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ნ. ჟორდანიამ კონსტიტუცია ტანისამოსს შეადარაო და თუ ეს ასეა, განაგრძობს ის, თუ კონსტიტუცია მართლა ტანისამოსია, მაშინ, ცხადია, შეუძლია ადამიანმა შეიკეროს ისეთი ტანისამოსი, რომელიც მუდმივათ გამოადგეს მას, არ შეიძლება აგრეთვე კონსტიტუცია იყოს მუდმივი, ჩვენი პროექტის ძალით კი კონსტიტუციის შეცვლა ძალიან გაძნელებულია და ამ მუხლს შეცვლა სჭირია. დასასრულ ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი კონსტიტუცია ხელს შეუწყობს მომავალი სოციალისტური წყობილების დამყარებას.

**ლ. შენგელაია** (ს. რ.) აღნიშნავს კონსტიტუციის მიღების დიდ ისტორიულ მნიშვნელობას და ამბობს: დღეს ჩვენს წინაშე არის „ტაბულა რაზა“ (სუფთა ფიცარი), რომელზედაც უნდა დაიწეროს არა მარტო ის რაც ფაქტიურად არის, როგორც ეს ჟორდანიამ სთქვა, არამედ ისიც, რაც უნდა იყოს მშრომელი კლასების სასარგებლოდ, ვინაიდან ფაქტიურად ბევრი მინუსებია. წარსულ სხდომაზე ჟორდანიამ სთქვა, რომ კონსტიტუცია იგივეა სახელმწიფოსათვის, რაც ტანისამოსი ადამიანისათვისო. ეს მართალია და ეს ტანისამოსი უნდა შეუკეროდ ისეთ სხეულს, რომელიც მომწიფდა, მაგრამ იმავ დროს იზრდება. ამიტომ ჩვენ მას ისეთი ტანისამოსი უნდა შეუკეროთ, რომელიც გამოადგება ხვალ, ზეგ და შემდეგ დ ეს ტანისამოსი უნდა შეუკეროთ მას მე-20 საუკუნის რევოლიუციონურ სოციალისტურ ფასონზე და არა მე-18 საუკუნის ბურჟუაზიულ რეაქციონურ ფასონზე. აქ უნდა მოხდეს რეალიზაცია რევოლიუციის მონაპოვართა. დღეს უნდა ვსთქვათ ახალ მონობისაკენ მივდივართ, თუ თავისუფლებისაკენ. შემდეგ ორატორი ამბობს, რომ ამ კონსტიტუციას ორი დიდი მოვლენა უძღოდა წინ. რუსეთის დიდი რევოლიუცია და 26 მაისი და რადგანაც ჩვენი დამოუკიდებლობა აღმოცენდა რუსეთის რევოლიუციის ნიადაგზე, ამიტომ საჭიროა ჩვენს კონსტიტუციაში აღბეჭდილი იყოს რუსეთის რევოლიუციის შინაარსი. შემდეგ ორატორი ანალიზს უკეთებს რუსეთის რევოლიუციას და ასკვნის, რომ ეს რევოლიუცია იყო არა ბურჟუაზიული, როგორც ეს სოც.-დემოკრატებს ჰქონდათ წარმოდგენილი, არამედ იყო სულ ახალი ტიპის რევოლიუცია—სოციალისტური რევოლიუცია. აი ამ რევოლიუციის შინაარსი უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი ჩვენს კონსტიტუციაში. მაგრამ აქ წარმოდგენილი კონსტიტუცია არის ბურჟუაზიული კონსტიტუცია სოციალისტების მიერ დაწერილი. ეკონომიური მხარე გერმანიის კონსტიტუციისა უფრო რადიკალურია, ვინემ ჩვენი. რათ მოხდა ეს? აქ ორატორს მოყავს მთელი რიგი ციტატების ნ. ჟორდანიას და სხვების ნაწერებიდან იმის დასამტკიცებლად, რომ სოც.-დემოკრატიული აზროვნება ცვლილებებს განიცდიდა 1905 წ. დღემდე, რომ მათ არა ერთხელ და ორხელ შეიცვალეს თავის შეხედულება რევოლიუციის ხასიათზე, ეროვნულ საკითხზე და სხვ. მათ ვერ გამოურკვევიათ ბურჟუაზიის ბატონობას ვამყარებთ, თუ პროლეტარიატის და ცხადია სოც.-დემოკრატიას არ შეეძლო უკეთესი კონსტიტუციის დაწერა: წარმოდგენილი პროექტი კონსტიტუციისა არის მარტო პოლიტიკური უფლებრივი. რაც შეეხება სოციალ-ეკონომიურ მხარეს, როგორც ვსთქვი ცოტა ზემოთ ძალიან მკრთალათ არის გატარებული. მართალია არის დემოკრატიული მხარე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დემოკრატიზაცია ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში უფრო შორს წავიდა, ვინემ ჩვენში. თუ სოციალისტური ხანაა, მაშინ სოციალიზატორული მუხლები უნდა იყოს სოციალისტების მიერ შედგენილ კონსტიტუციაში. უნდა იყოს შრომის საყოველთაო ბეგარა, ბინის საკითხი, უნდა იყოს ნაციონალიზაცია და სოციალიზაცია კონსტიტუციაში გატარებული და სხვ.

აქ მომხსენებელი ბ. საყვარელიძე ამბობდა, რომ მთავარი თვისება ჩვენი კონსტიტუციისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენში ხალხია თვითმპყრობელიო. ეს არ არის მართალი. და რომ ეს მართალი არ არის იქიდანაც აშკარაა, რომ, ჩვენში უარყოფილია შვეიცარიის პირდაპირი დემოკრატია. ჩვენში არც პარლამენტია თვითმპყრობელი, ვინაიდან ის რეფერენდუმით არის შეზღუდული. ამ კონსტიტუციით ნამდვილათ თვითმპყრობელია მთავრობა. მართალია, პრეზიდენტი უარყოფილია, მაგრამ მთელი ძალა-უფლება ფაქტიურად და იურიდიულად მთავრობის ხელშია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ექნება ჯარები გამოიყვანოს, რესპუბლიკის წარმომადგენლობა იკისროს და განსაკუთრებული უფლებებით ისარგებლოს, ყველა ამის შემდეგ რაღა დარჩა? ცხადია აქ დაკანონებულია მთავრობის თვითმპყრობელობა. ჩვენ კი წინააღმდეგი ვართ პრეზიდენტისა და აგრეთვე მთავრობისათვის ამდენი უფლებების მიცემისა.

ჩვენ არ გვაკმაყოფილებს აგრეთვე პროექტის ის თავი, სადაც ლაპარაკია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. ეროვნულ უმცირესობათ უნდა მიეცეს აგრეთვე საჯარო უფლებები.

დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენი ფრაქცია არ იზიარებს მთლიანად წარმოდგენილ პროექტს კონსტიტუციისას და ამას ის უპირდაპირებს თავის კონსტიტუციას, რომლის შესახებ ჩემი ამხანაგები მოგახსენებენო.

ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპია შრომა. ჩვენ ფართოდ ვაყენებთ სოციალიზაციის და ნაციონალიზაციის საკითხს. სახელმწიფო ფინანსების შესახებ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადასახადებით არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია თავის რჩენა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ თავი უნდა ირჩინოს საზოგადოებრივი მეურნეობით.

(დასასრული იქნება).

# საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

**დოროშევიჩი საბჭოთა მთავრობის შესახებ**

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს დოროშევიჩმა განაცხადა: საბჭოთა უფლება არის მშრომელთა ნამდვილი ძალა უფლება. ძველის დაბრუნება აღარ შეიძლება, პროლეტარულ დიქტატურის გზა არის ერთად ერთი გზა არსებულ მდგომარეობაში, სასიხარულო მოვლენათ მიმაჩნია მე ინტელიგენციის დაახლოვება საბჭოთა მართველობასთან, მოკლე ხანში დოროშევიჩი მიემგზავრება პეტროგრადში. მისი მიზანია საბჭოთა პრესის გაცნობა.

**შრომის ფრონტზე**

1917 წელში ჩვენ დავამზადეთ 13 მილ. ფუთი სათბობი მასალა, წარსულ წელს 9½ მილ. ფუთი, წელს კი განზრახულია 10 მილ. ფუთის სათბობ მასალის დამზადება. სათბობის დამზადებაში ხელი შეგვიწყო წითელმა ჯარმა, რომელმაც დაგვიბრუნა დონის ხეობა და ბოქო-

ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა ორგანოებს დასჭირდებათ დიდი მუშაობის გაწევა რათა სამარხილო გზის მოწყობამდე უზრუნველყონ შეშით რკინის გზები. გამოირკვა, რომ რკინის გზების სახელოსნოებში მუშაობა არა სასურველათ მიმდინარეობს. იაროსლავში, ვოლოგდაში, და ვიატკაში ომის წინა დროსთან შედარებსით მუშათა რიცხვი სახელოსნოებში ორად გაიზარდა მაგრამ ნაყოფიერება არ გაზრდილა, ტულის სახელოსნოები ომამდე ათ ორთქმავალს აკეთებდა, ახლა როდესაც მას ყავს ორჯელ მეტი მუშები უშვებს ხუთ ორთქმავალს ცხადია, რომ შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს ეს მიზანი უნდა დაისახოს პროფ. კავშირებმა და საბჭოთა ორგანოებმა.

**თეთრ გვარდიელები და ჩინეთი**

4000 თეთრ გვარდიელებმა ჩინეთის საზღვარი გადალახა. ვინაიდან თეთრ გვარდიელებმა განიარაღებაზე უარი განაცხადეს, ამიტომ მათსა და ჩინეთის ჯარის კაცების შორის შეტაკება მოხდა. ბრუნდებიან სამშობლოში. რუსეთში ბრუნდება 700 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი სამხედრო ტყვეებისა.

ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტებს სურთ აიღონ იჯარით პოლონეთის რკინის გზები.

**ვრანგელის აღიარება**

ვრანგელი სტრუვეს მიმართ დაწერილ წერილში აცხადებს, რომ იგი განწირულად სთვლიდა თავის ჯარს, იმ დღიდან რაც საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ზავი ჩამოვარდა. მან იმ დღიდანვე დაიწყო მზადება ევაკუაციასათვის, ამას იგი აკეთებდა საიდუმლოთ, პერეკოპის დაცვის დროს ვრანგელის სიტყვით წითელი ჯარი მეთგრად და მკაცრად იბრძოდა. სიცივისა და ტანისამოსის უქონლობის გამო ვრანგელმა ვერ შეძლო გამკვლავებოდა წითელ ჯარს და დაკრა 25.000 კაცი და დაიხია უკან.

# დეპეშები

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები)

**ფრანგული ცნობები.**

**სამხედრო მასალა**

თანახმად ინგლისის სტატისტიკურ არა ოფიციალურ ცნობებისა გერმანიის განიარაღების შესახებ, გერმანიას მოკავშირეთათვის შემდეგი სამხედრო მასალა გადაუცია. 30.500 ზარბაზანი, რომელთაგანაც 27.650 უკვე გააფუჭეს. 6.100 მიწურის მორტირო, რომელთაგანაც გააფუჭეს 5.800; 63.100 ტყვიისმფრქვეველი, რომელთაგანაც გააფუჭეს 48.400; 2.524.400 ვინტოვკა, რომელთაგანაც გააფუჭეს 2.206.400; 405 მილიონი პატრონა, რომელთაგანაც გააფუჭეს 170 მილიონი, 32 მილიონი ყუმბარა, რომელთაგანაც გაანადგურას 18 მილიონი. უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში მოკავშირეებმა 11 ათასი ზარბაზანი გაანადგურეს. გაანადგურეს აგრეთვე ის ზარბაზნებიც, რომლებსაც ქარხნებში ამზადებდენ.

**ბეგლის გახსნა**

მილიერანი შეერთებულ შტატების ელჩისა, მარშალ ფოშისა, და ჟოფრისა და მინისტრების თანხლებით გაემგზავრა ვერდენში ბეგლის გახსნაზე დასასწრებლად.

თანახმად ბერლინიდან მოსულ ცნობისა გერმანიის მთავრობამ აცნობა ჰოლანდიის მთავრობას, რომ იგი მზათ არის მოახდინოს რატიფიკაცია გერმანო-ჰოლანდიის ფინანსიურ და (დამახინჯებულია) კონვენციისა.

**ზედმეტ მუშაობის კონვენცია**

ოპელიდან იუწყებიან: მოკავშირეთა კომისიამ მოიწონა კონვენცია ზედმეტ მუშაობის შესახებ, რომელსაც აწარმოებენ მუშები ზემო სილეზიის ქვა-ნახშირის მაღაროებშიო.

**ფრანგული პრესა.**

**მღელვარება.**

თანახმად ბერლინიდან მოსული ცნობისა მოსამსახურეთა შორის ერთგვარ მღელვარება აქვს ადგილი. მღელვარება გამოწვეულია მით, რომ მთავრობას არ სურს დათანხმდეს ჯამაგირების საგრძნობ მომატებაზე, რასაც მოსამსახურეები თხოულობენ. განსაკუთრებული უკმაყოფილება არის გამეფებული რკინის გზელთა და პატარა მოხელეების შორის.

**გაფიცვა.**

ელექტრონის სადგურებზე მოსამსახურეების გაფიცვა გრძელდება, მაგრამ ქარხნები განაგრძობენ მუშაობას. საზღვაო-საინჟინერო ძალების მიერ აღმოჩენილ დახმარების საშუალებით ტრამვაის განათება და მოძრაობა უზრუნველყოფილია. ჩეხო-სლოვაკიის ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა აღიარა ის დახმარება, რომელიც გაუწია ჩეხო-სლოვაკიას საფრანგეთის სამხედრო მისიამ გენ. პელეს მეთაურობით.

**ლიონის ცნობები.**

**ვრანგელის ფლოტი.**

ერთა ლიგაში მყოფი არგენტინის დელეგაციის მეთაური პეირიდონი ჟენევიდან პარიზში გაემგზავრა. ვრანგელის ფლოტს ბიზერტაში მოელიან. ფრანგული პრესა იუწყება, საფრანგეთის ჯავშნოსანი გემი გაემგზავრება ბიზერტაში, სადაც მალე გენ. ვრანგელის გემები მოვლენო.

**საბერძნეთში.**

პლებისციტის შედეგები მეფე კონსტანტინეს სასარგებლოდ გამოდგა, მაგრამ როგორც ირწმუნებიან საბერძნეთის მთავრობას მოკავშირეთა დამოკიდებულების გამო დიდი დაბრკოლება ელობება წინ. მიღებულია ზომები, რომ მეფე კონსტანტინეს ათქმევინონ უარი ტახტზე თავის უფროსი შვილის სასარგებლოთ. იუწყებიან: დიადოხი კონსტანტინოპოლში მოელის საბერძნეთის ჯავშნოსან გემის მოსვლას, რომლითაც იგი პირეიეში უნდა დაბრუნდეს. კონსტანტინოპოლში მყოფი ბერძნები, კონსტანტინეს დაბრუნების წინააღმდეგნი არიან. დიდი ბრიტანეთის ელჩმა საბერძნეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოკავშირეები უარს აცხადებენ 400 მილ. დრახმის სესხის მიცემაზეო. ოთხშაბათს პარიზში ჩამოვიდენ დანიის მეფე კრისტიან მე-10 და მისი მეუღლე ალექსანდრა, დანიასა და საფრანგეთს შორის მტკიცე კავშირი არსებობს, რის დამადასტურებელი არის შლეზვიგის დანიაზე დაბრუნება. ამ რიგად დანიის სამეფო ოჯახის მიერ პარიზის ნახვა არის მადლობის და მეგობრობის გამოცხადება. სამეფო ოჯახს მიიღებს მილიერანი. შემდეგ ვერდენის და რეიმსის დათვალიერებისა შაბათს ისინი იტალიაში გაემგზავრებიან.

# ახალი ამბები

✦ **აბასთუმანის აგარაკი.** ვინაიდან მთავრობამ დაადგინა აბასთუმანის აგარაკის მიწად-მოქმედების სამინისტროდან ჯანმრთელობის დეპარტამენტის გამგებლობაში გადაცემა, ამიტომ მიწად მოქმედების სამინისტროში აბასთუმანის გადასაცემათ კომისია არსდება. აღნიშნული კომისია დაარსებისთანავე აბასთუმანში გაემგზავრება.

✦ **ყარაიაზის ტბა.** მიწად-მოქმედების გადასახადთა განყოფილებამ ყარაიაზის ტბა გასცა იჯარით 1 წლის ვადით. მიზანი ტბის იჯარით გაცემისა არის მისი თევზის სიმდიდრის ექსპლოატაცია. მოიჯარადრე ჯაფარიძე ვალდებულია საიჯარო გადასახადის სახით მიაწოდოს ტფილისს ყოველთვიურად 60 ფუთი ნედლი თევზი.

✦ **ბიტუმის ექსპლოატაცია.** მიწად-მოქმედების სამინისტროს გადასახადთა განყოფილება ამუშავებს პირობებს ნატანების ახლო არსებულ დიდ ბიტუმის ექსპლოტაციისას. ბიტუმს დიდი საწარმოო მნიშვნელობა აქვს. გადასახადთა განყოფილება ფიქრობს გასცეს იჯარით ის ადგილები, სადაც ბიტუმი არსებობს იმ პირობით, რომ წარმოებიდან შემოსული წმინდა მოგებიდან განსაზღვრული პროცენტი გადაეცეს სახელმწიფოს.

✦ **სახალხო განათლების ახალი მინისტრი** დეკემბრის 7 სახალხო განათლების მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **საავადმყოფო კასათა კონფერენცია.** დეკემბრის 8, 4 დღის მუშაობის შემდეგ დაიხურა საქართველოს საავადმყოფო კასათა პირველი კონფერენცია. მოსმენილი იქმნა მოხსენებები და დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების შესახებ სათანადო რეზოლიუციები გამოიტანეს. გარდა ამისა მოსმენილ იქმნა ცნობა შრომის მინის. ამხანაგის ბახტაძისა, იმის შესახებ, თუ რას აპირებს სამინისტრო გააკეთოს სოციალურ დაზღვევის სფეროში. კონფერენციამ გამოყო საინფორმაციო ბიურო, რომელშიაც შედიან: ამხ. ბერიშვილი, თამაზაშვილი, თელია, გაბუნია, მარსაკოვი და სამი კანდიდატი.

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის ქ-ნ ჟორდანიას წინადიდებით კონფერენციამ დაადგინა ინახულოს დეკემბრის 9 ს „ბავშვთა სახლი“ და „ბავშვების კლუბი“

✦ **თავდაცვის ფონდი.** თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის პრეზიდიუმი მოთავსებულია დამფუძნებელი კრების შენობაში, ოთახი № 29. შესავალი ერმოლოვის ქუჩ. ტელეფ. № 6-18.

პრეზიდიუმი იღებს ყოველ დღე 11-1 საათ. მთავარი გამგეობის საქმეების მმართველი 9-3 საათ. და საღ. 6-7 საათ.

პრეზიდიუმის სხდომები იმართება შაბათობით, საღ. 7 საათ.

მთავარი გამგეობის დადგენილების თანახმად შეწირულება ფულითა და ძვირფასი ნივთებისა მიიღება სახელმწიფო ბანკში, რომელიც ამ საქმისათვის ცალკე შტატს ადგენს.

✦ **ჩუმლაყის სანერგე.** მიმღებ კომისიის შემუშავებულ გეგმით ჩუმლაყში მოწყობილ იქნება ჩუმლაყის სანერგესთან საცდელი ვენახი 4 დესეტინამდის. საჭირო შენობების აგება დაწყობილ იქნება ამავე წელს. შენობები იქნება ფახვერკის ტიპისა.

✦ **სახალხო გვარდიის შტაბის განმარტება.** სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანებაში—შრომის ბეგარის შემოღების შესახებ შეპარულია შეცდომა. ამ ბრძანების პირველ პუნქტის ტექსტი უნდა იყოს ასეთი: შემოღებულია სავალდებულო შრომის ბეგარა საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც არ ეწევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და არ ასრულებს რაიმე განსაზღვრულ სამსახურს.

✦ **ქურდობა 1,500,000 მან.** 27 ნოემბ. ამა წელს მცხოვრებელ საპიორის ქუჩაზე № 48 ვესეინ მამედოვის ბინიდან ბოროტ-მომქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 1,500,000 მან. მეორე უბნის კომისრის ი. მ. გვალიას მიერ იყო მიღებული ყოველივე ენერგიული ზომები ბოროტ მომქმედების და ნაცარცვის აღმოსაჩენად. ბრალდებული ამ საქმეზედ სტეფანე დავითის ძე კირკიდოვი იქმნა შეპყრობილი, რომელიც გულ-წრფელად გამოტყდა და ნაწილი მოპარული ნივთებისა აგრეთვე იქმნი აღმოჩენილი.

**სამხატვრო ქრონიკა**

**სახელმწიფო ოპერა** პარასკევს, 10 დეკემბერს „აბესალომ და ეთერი“. მონაწ.: ოქროპირიძე, გაბაშიძე, ერმოლინსკაია, ცინკი, ზალიპსკი, ინაშვილი, ქუმბურიძე, კურბატოვი, ქურხული. დირიჟორი ავტორი ფალიაშვილი.

# პრესის მაზიერ.

პატივცემულ გაზ. „საქართველოს“ ხელმძღვანელთ არ მოსწონებია, რომ გელათის მონასტრის ინციდენტის გმირებს ჩვენ შესაფერისი სახელი—„ქურდები“ და „უდიერები“ უწოდეთ. გაზეთს სურს ეს ინციდენტი მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციად გამოიყენოს.

რა მოხდა?

როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, მიმდინარე წლის ნოემბრის 13, ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარისაგან ბ-ნმა მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, სადაც მას ერობის თავმჯდომარე ატყობინებდა, რომ გელათის მონასტრის ძვირფასი ნივთები იყიდება ბერების მიერ და ზოგიერთი გაყიდული ნივთები დააკავეს. მთავრობის თავმჯდომარემ მაშინვე გააგზავნა თავისი რწმუნებული და მიანდო: თუ ფაქტი ბერების მიერ ნივთების გაყიდვისა დამტკიცდებოდა, მიეღო ყოველივე ზომა გელათის მონასტერში შენახულ ძვირფასს განძეულობის დაცვისათვის და თუ საჭიროდ დაინახავდა გადაეტანა ის სახელმწიფო ხაზინის სალაროში. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარს აგვისტოში ნება მიუცია გელათის მონასტრის წინამძღვარისთვის, რომ მას „გაეყიდნა ისეთი ნივთები, რომელიც საეკლესიო სახმარებლად არ არის საჭირო“. მონასტერში დაცულ საუნჯის სამალავი მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულს გარღვეული დახვდა და ამის მიზეზად ეკონომის გამოცვლა დაასახელეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ერთ ძვირფასს ხატს რამდენიმე თვალი ახლად აცლილი აქვს და უეჭველია გაყიდულია. ამგვარად მთავრობის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ბერებს გაუყიდიათ მონასტრის ქონება; იყო თუ არა ეს ნივთები მნიშვნელობას მოკლებული, როგორც „საქართველო“ ამბობს ეს სხვა საქმეა, მაგრამ მთავარ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბერებმა გაყიდეს ისეთი ქონება, რომლებიც მათ კერძო საკუთრებას არ შეადგენდა, არამედ ეკუთვნოდა სახელმწიფოს და მიტომ ასეთ საქციელს ჩვენ უწოდეთ თავისი სახელი „ქურდობა“. ამ საქციელს „საქართველოს“ ლოღიკა—ბერებმა „უკანასკნელი გამხმარი ლუკმაც გაათავეს და აბა რა ექნათო“ ვერ გაამართლებს.

ამ ინციდენტის გამოსარკვევად დეკემბრის 6-ს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო საკათალიკოსო საბჭოს დელეგაცია კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდეს მეთაურობით; მაგრამ მის მაგიერ, რომ კათალიკოს-პატრიარქს მთავრობის თავმჯდომარისთვის საქმის ვითარება გაეცნო, მან სრულიად დაუშვებელ და შეუწყნარებელი სიტყვებით მიმართა ბ-ნ თავმჯდომარეს, გაკიცხა ის, გამოუცხადა გულისწყრომა და პროტესტი. სულიერი მამების ასეთ საქციელს ჩვენ უწოდეთ შესაფერისი სახელი „უდიერობა“ რაც ასე არ მოსწონებია „საქართველოს“. ვინც მთელი რესპუბლიკის ნდობითა და სიყვარულით აღჭურვილ სახელმწიფოს თავმჯდომარეს ასეთ დაუმსახურებლად შეურაცყოფას აყენებენ ეს უდიერობაზედაც მეტია, ეს მთელი რესპუბლიკის შეურაცყოფა გახლავთ, რაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს „საქართველოს“ რედაქციასაც.

„საქართველო“ გვპირდება ხსენებული ინციდენტის გამო მასალების გამოქვეყნებას; ვნახოთ როგორი ღირებულების გამოდგება ეს „საბუთები“, მაგრამ საკითხავია, ვის უფრო უნდა დავუჯეროთ ჩვენ, მთავრობის გამოძიებას თუ „საქართველოს“ კორესპონდენტს, თუ გინდ იმავე მამების მიერ მოწოდებულ ცნობებს.

რომ მთავრობას თავის დროზე არ შეეჩერებია გელათის მონასტერში ქურდობა, შესაძლებელია იგივე „საქართველო“ უკიჟინებდა მთავრობას,—რატომ სახელმწიფო განძეულობას არ მფარველობსო, მაგრამ ხან ისე და ხან ასე...

# დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელ კრების სახალხო განათლების კომისიის წინადადებით განათლების მინისტრის ამხანაგმა ბ-მა ცინცაძემ გააკეთა კომისიაში მოხსენება რესპუბლიკის სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ. კომისიამ ამ საკითხზე მსჯელობას მოანდომა 3 სხდომა და გამოიტანა შემდეგი საერთო ხასიათის დადგენილებანი:

მოისმინა რა მოხსენება განათლების მინისტრის ამხანაგისა სახალხო განათლების უწყების მოღვაწეობის შესახებ, კომისია აღიარებს: 1) განაპირა კუთხეებს (სვანეთს, სამუსლიმანო საქართველოს და სხვა ჩამორჩენილ ადგილებს), სადაც ობიექტურ პირობების გამო სახალხო განათლების საქმე დაბრკოლებულია, უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება დაწყებით სკოლების გახსნის მხრით; საჭიროა ამ მიზნით მასწავლებელთა სათანადო კონტიგენტის შეკრება და მათი უზრუნველყოფა გადიდებული ჯამაგირით. ამასთანავე შემდეგშიაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებითი სკოლების საქმეს აღმოსავლეთ საქართველოში; 2) საჭიროა ხელის შეწყობა უმაღლეს დაწყებით სკოლების საქმისათვის ყველგან; საჭიროა გაეწიოს დახმარება ხაზინიდან შეძლებისამებრ იმ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებს, რომლებსაც ხაზინა არ ინახავს, საჭიროა მათი გამრავლება საქართველოს ყველა ადგილებში (რადიუსი 3—4 ვერსი) საოსტატო სემინარიების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გადიდდეს. სასურველია გადაკეთდეს სემინარიებად ზოგიერთი გიმნაზია აღმოსავლეთ საქართველოში; 3) უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების უზრუნველყოფას სასწავლო ნივთებით (რუქები და სხვა) და მოწყობილებით (კაბინეთები, კოლექციები და სხვ.). პროვინციაში, სადაც ეს სკოლები ახლადაა დაარსებული. საჭიროა აგრეთვე მიეცეს მათ საამშენებლო მასალა და მიწა; 4) ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მიმართ კვლავაც წარმოებულ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მათი ეროვნულ-კულტურულ უფლებების დაცვით; 5) კომისია კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ უწყებამ შესაფერი ენერგია გამოიჩინა ხელოვნების დარგების მოწესრიგების საქმეში და ისინი სახელმწიფოს გარშემო შემოიკრიბა, საჭიროა ამ დარგებში მომუშავეთა შემოკრებაც ხელოვნების არსებულ ორგანოების გარშემო; 6) კომისია სურვილს გამოსთქვამს მოისმინოს სრული მოხსენება სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ; 7) კომისია აღიარებს, რომ მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილნი არც ნივთიერად, რაც საერთო პირობებს მიეწერება; მაგრამ ისინი არ არიან უზრუნველყოფილნი არც მომარაგებით, თუნდაც იმ მასშტაბით, რომელიც მიღებულია სახელმწიფოს ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის. კომისია იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მხრივ უწყების მიერ მიღებულ იქნება ყოველნაირი ზომა, რათა ეს ნაკლი ასე მწვავე განათლების საქმისათვის გამოსწორებულ იქნეს. საერთოდ კომისია კმაყოფილებას გამოსთქვამს მოხსენების გამო და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც უწყების მთელი ძალღონე მიმართული იქნება იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებიც წინ ელობება სახალხო განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე აყვანას.

**განცხადებანი**

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და მეტრიკა დავით ნიკოლოზის ძე ჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4156 3—1

დაიკარგა პასპორტი მარიამ ბარისის ასული ბისტოვის სახელზე, მიღებული ფოთის მილიციის სამართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4158 3—1

მინდობილობა № 2873 მიცემული ალექსანდრა ნიკოლოზის ასული სარქისოვის მიერ გრიგოლ ლიუდვიგის ძე სარქისოვის სახელზე დამოწმებული ტფ. ნოტარიუს ლუკომსკის მიერ გაუქმებულია. 4144 3—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამონაწერი

## ტფილისის ვაჭართა ბანკის 1919 საოპერაციო წლის ანგარიშიდან.

### ა) 1919 წ. შემოსავლისა და გასავლის ანგარიში

#### კრედიტი:

მიღებულია:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| %% გასანაღდებელ თამასუქებიდან | 755.448 | 14 |
| „ „ სავაჭრო ვალდ. გასათამაშებელ ქაღალდებიდან და კუპონებიდან | 3.214 | — |
| „ გარანტიანი და უგარანტიო თანხებიდან | 6.472 | 73 |
| „ თანხიდან საქონლების ქვეშ და რკ. გზ. დუბლიგატების და კონესამენტების ავანსებიდან | 49.195 | 31 |
| „ სპეციალურ ანგარიშებიდან (on call) | 4.208.752 | 30 |
| „ ბანკის კუთვნილ სარგებლიან ქაღალდებ. კუპონებიდან | — | — |
| „ კერძო საკრედიტო საზ. მიმდინარე ანგარიშებიდან | 11.869 | 59 |
| „ კორესპონდენტებთან ანგარიშიდან | 191.907 | 10 |
| „ განყოფილებებთან ანგარიშიდან | 1.029.162 | 50 |
| „ სხვა და სხვა ოპერაციებიდან | 689.218 | 10 |
| კომისიები | 2.437.395 | 22 |
| შემოსავალი უძრავ ქონებიდან | 5.236 | 53 |
| გასავალში გადაწერილ ვალების დაბრუნება | 46.673 | 45 |
| სხვა და სხვა შემოსავალი | 42.833 | 45 |
| | 9.477.378 | 42 |

#### დებეტი:

გადახდილია:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| %% ჩვეულებრივი და პირობითი მიმდინარე ანგარიშებით | 1.310.873 | 29 |
| „ ვადიანი და უვადო მობარებული თანხები | 92.301 | 64 |
| „ სპეციალური ანგარიშების კრედიტულ ნაშთით (on call) | 42.907 | 24 |
| „ კორესპონდენტებთან ანგარიშით | 16.466 | 48 |
| „ გამგეობის ანგარიშით განყოფილებებთან | 1.029.162 | 50 |
| „ სახელმწიფო და სხვა ბანკებში სპეციალური ანგარიშ. | 246.020 | 93 |
| „ ბანკის სათადარიგო თანხით | 165.290 | 22 |
| „ სხვა და სხვა ოპერაციებით | 8.915 | 05 |
| **გადაწერილია:** | | |
| ხარჯები ბანკის შესანახად | 1.886.159 | 22 |
| მოძრავ ქონებათა ღირებულებიდან | 5.594 | 95 |
| უძრავ „ „ | 15.705 | 42 |
| პროტესტ გაკეთებულ თამასუქების დასაფარავად | 74.810 | — |
| სხვა საეჭვო ვალების დასაფარავად | 298.727 | 01 |
| განყოფ. გასახსნელ საორგან. ხარჯების დასაფარავად | 8.102 | 90 |
| გადახდილია სახელმწიფო გადასახადი | 415.652 | 59 |
| „ ქალ. ტფილისის სანიტარული გადასახადი | 800.000 | — |
| წმინდა მოგება 1919 საოპერაციო წლის | 2.060.688 | 98 |
| | 9.477.378 | 42 |

### ბ) ანგარიშების მდგომარეობა 1920 წ. იანვრის 1-თვის.

#### აქტივი:

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| კასა (სახელმწ. საკრედიტო ბილეთები და ხურდა ფული) | 5.747.344 | 83 |
| მიმდინარე ანგარიშები: | | |
| 1. სახელმწიფო ბანკში | 22.572.230 | 80 |
| 2. კერძო საკრედიტო დაწესებულებებში | 381.135 | 04 |
| განაღდება თამასუქების, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ ორი ხელწერილისა | 23.159.170 | 82 |
| „ სავაჭრო ვალდებულებათა, გასათამაშებელ ქაღალდებისა და კუპონების | 78.118 | 47 |
| თანხები გირავნების ქვეშ: | | |
| 1. სახელმწიფო და მთავრობის მიერ გარანტიან ქაღალდებით | 47.314 | 80 |
| 2: მთავრობის მიერ უგარანტიო აქციებით და ობლიგაციებით | 26.700 | — |
| 3. საქონლებით | 4.287.261 | — |
| ავანსები რკ. გზის დუბლიკატების და კონესამ. ქვეშ | 569.241 | 82 |
| სპეციალური ანგარიშები მოთხოვნამდის (on call): | | |
| 1. უზრუნველყოფილი გარანტიან და უგარანტიო სარგ. ქაღალდ. | 15.719.880 | 33 |
| 2. „ თამასუქებით | 7.689.838 | 67 |
| 3. „ რკ. გზ. კონესამ. დუბლ. და სხვ. | 7.970.820 | 22 |
| 4. „ საქონლებით | 15.959.354 | 56 |
| ბანკის კუთვნილი ფასიანი ქაღალდები: | | |
| 1. სახელმწიფოსა და მთავრობის მიერ გარანტიანი | 596.328 | 57 |
| 2. გირავნობითი ფურცლები, ობლიგაციები და აქციები მთავრობის მიერ უგარანტიო | 4.644.940 | 74 |
| ყიდვა და გაყიდვა სარგებლიან ქაღალდების მინდობილობით | 2.314 | 50 |
| ბანკის კორესპონდენტები: | | |
| 1. მათი ანგარიშებით (loro): | | |
| ა) სესხი თამასუქებით უზრუნველყოფილი | 368.427 | 71 |
| ბ) „ საქონლის საბუთებით უზრუნველყოფილი | 15.354 | 76 |
| გ) დროებით დაუფარავი და საბლანკო კრედიტები | 2.873.065 | — |
| 2. ბანკის ანგარიშებით (Nostro): | | |
| თავისუფალი თანხები ბანკის განკარგულებაში | 2.359.547 | 50 |
| გამგეობის ანგარიში განყოფილებებთან | 15.877.297 | 65 |
| პროტესტ გაკეთებული თამასუქები | 86 | — |
| ხარჯები, რომელნიც დაბრუნებულ უნდა იქმნან | 348.103 | — |
| მორთვა და მოწყობა | 34.182 | 16 |
| გარდამავალი თანხები | 11.501 | 45 |
| უძრავი ქონება | 628.216 | 72 |
| საკომისიო თამასუქები და ღირებულებანი | 6.461.654.44 | |
| სარგებლიანი ქაღალდები და სხვა ღირებულებანი მიღებული კორესპონდენტებისაგან | 13.738.117 | 47 |
| | 149.167.549 | 03 |

#### პასივი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ძირითადი თანხა | 20.000.000 | 00 |
| სათადარიგო თანხა | 4.471.092 | 00 |
| უძრავ ქონების დასაფარავი ფონდი | 95.164 | 95 |
| მობარებული თანხები: მიმდინარე ანგარიშზე: | | |
| 1. ა) ჩვეულებრივი | 15.871.848 | 41 |
| ბ) პირობითი | 34.455.718 | 57 |
| 2. ვადიანები | 1.790.453 | 48 |
| 3. უვადონი | 243.736 | 11 |
| კრედიტორები, ანგარიშებით on call | 515.134 | 98 |
| სპეციალური ანგარიშები სახელმწიფო ბანკში | 2.494.650 | 32 |
| „ „ კერძო საკრედიტო დაწესებულებებში | 4.117.733 | 18 |
| ბანკის კორესპოდენტები: | | |
| 1. მათი ანგარიშებით (loro): | | |
| თავისუფალი თანხები კორესპონდენტთა განკარგულებაში | 11.044.242 | 29 |
| 2. ბანკის ანგარიშებით (Nostro): | | |
| თანხები, დარჩენილი ბანკზე | 728.457 | 70 |
| გამგეობის ანგარიშები განყოფილებებთან | 15.877.297 | 65 |
| ყიდვა და გაყიდვა სარგებლიან ქაღალდების—მინდობილობით | 4.822.384.58 | |
| მობარებულ თანხებით გადასახდელი პროცენტები | 103.259 | 03 |
| 1920 წ. გადასული პროცენტები | 162.974 | 54 |
| 5% სახელმწიფო გადასახადი | 72.508 | 40 |
| სპეციალური ანგარიშებით 0,396% სახელმწ. გადასახადი | 15.104 | 64 |
| გარდამავალი თანხები | 6.905.737 | 98 |
| გადაუხდელი გადაგზავნის ფურცლები | 1.883.567 | 10 |
| ტრატები და თამასუქები საზღვარ გარეთელ ადგილებზე, ბანკნოტები და უცხოეთის ფული | 1.092.334 | 73 |
| ბანკის აქციებით გადაუხდელი დივიდენდი | 143.687 | 50 |
| საკომისიო თამასუქები და ღირებულებანი | 6.461.654 | 44 |
| სარგებლიანი ქაღალდ. და ღირებულებანი კორესპ. | 13.738.117 | 47 |
| საოპერაციო წლის წმიდა მოგება | 2.060.688 | 98 |
| | 149.167.549 | 03 |

გამგეობის თავმჯდომარე და დირექტორი ვ. ლ. ტერ ზახაროვი.
გამგეობის წევრი ა. ოგანჯანოვი.
საბჭოს წევრი, გამგეობის წევრის მოადგილე ა. ბაგდასაროვი.
მთავარი ბუჰხალტერი ა. ხაფარიანი.

## ბ. ბ. აქციონერების 1920 წ. ივნისის 27-ს შემდგარ ჩვეულებრივ საზოგადო კრებამ

საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ 1919 საოპერაციო წლის ბანკის მოქმედების შესახებ

## ერთხმად დაადგინა:

ა) 1919 წ. ბანკის ანგარიში დამტკიცებულ იქმნას, ბ) 1919 წ. წმინდა მოგება 2.060.688 მ. თანახმად წესდებისა შემდეგ ნაირათ იქმნას განაწილებული:

| | |
|---|---|
| 1. სათადარიგო თანხაში | 206.069 მ. |
| 2. გასამრჯელო საბჭოს | 92.730 „ |
| 3 დივიდენდი ბ. აქციონერებს | 1.666.800 „ |
| 4. გასამრჯელო გამგეობას | 42.848 „ |
| 5. კულტურულ-განმანათლებელ და საქველმოქ. საზ. სასარგებლოთ, რომელთაც ინახავს ვაჭართა ბანკი | 21.424 „ |
| დანარჩენი | 30.817 „ |

კულტურულ-განმანათ. საზ. სასარგებლოთ, როგორც საჭიროთ დაინახავს ბანკის გამგეობა.

ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ: ა) საბჭოს წევრათ—არტ. ნ. სეიდანოვი. ბ) სარევიზიო კომისის წევრებათ: ა. ე. პარუნ-სარქისოვი, ტ. ვ. ტერ-მიხაილოვი, ბ. ე. კალანტაროვი და გ. მ. სარიანი.

1023 1—1